

შპს „თბილისი კონსალტინგ გრუპი“ წარმოადგენს მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიმართულ კომპანიას, რომლის მიზანია უზრუნველყოს სწრაფი, ეფექტიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება.

### **მომსახურების პირობები**

წინამდებარე მომსახურების პირობები შემუშავებულია შპს-ს „თბილისი კონსალტინგ გრუპი“ (შემდგომში „სერვისის მიმწოდებელი“) მიერ და ითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესების დაცვას სერვისის მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების განხორციელების დროს.

#### **წინამდებარე მომსახურების პირობებიდან გამომდინარე:**

„მომხმარებლად“ ითვლება ნებისმიერი ფიზიკური<sup>1</sup> ან/და იურიდიული პირი, რომელიც მზად არის მომსახურების ღირებულების გადახდის სანაცვლოდ მიიღოს მომსახურება.

„სერვისის მიწოდებად“ ითვლება მომსახურება, რომელსაც მომხმარებელისთვის ელექტრონული პროდუქტების ან/და პროდუქტის მიწოდების და სანაცვლოდ მიღებული მომსახურების ღირებულების სახით ახორციელებს სერვისის მიმწოდებელი.

„ელექტრონული პროდუქტი“ არის სერვისის მიწოდებისათვის განკუთვნილი ელექტრონული ფორმატით გამოხატული დოკუმენტი ან/და დოკუმენტები, რომელიც განთავსებულია სერვისის მიმწოდებლის ვებგვერდზე.

„მომსახურების ღირებულება“ არის სერვისის მიწოდების სანაცვლოდ მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, რომელიც ირიცხება სერვისის მიმწოდებლის ანგარიშზე.

მომხმარებლის მიერ „მომსახურების პირობების“ ღილაკის მონიშვნა გულისხმობს, რომ მომხმარებელსწაკითხული აქვს „მომსახურების პირობები“, ეთანხმება მათ, ადასტურებს, რომ მის მიერ შეყვანილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს, და მზად არის აღნიშნული მომსახურების პირობების დაცვით და მომსახურების ღირებულების გადახდის სანაცვლოდ მიიღოს შესაბამისი სერვისი.

„მხარეები“ მოიცავს უშუალოდ მომხმარებელს და შპს „თბილისი კონსალტინგ გრუპს“.

#### **მუხლი 1.**

მომხმარებელი მომსახურებას იღებს ელექტრონულად, რაც არ გულისხმობს ხმოვან ან/და ვიზუალურ კავშირს სერვისის მიმწოდებელთან ან/და მასთან დაკავშირებულ პირებთან.

#### **მუხლი 2.**

---

<sup>1</sup> ფიზიკური პირი მომხმარებლად რეგისტრაციის დროს უნდა იყოს სრულწლოვანი.

მომხმარებლის მიერ მიღებულ დოკუმენტებზე ვრცელდება „თბილისი კონსალტინგ გრუპის“ საავტორო უფლებები, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად ნიშნავს, რომ მომხმარებელს არ აქვს მიღებული დოკუმენტების როგორც სასყიდლიანი, ასევე, უსასყიდლო გავრცელების უფლება.

### **მუხლი 3.**

მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება სერვისის მიწოდების დაწყებამდე.

### **მუხლი 4.**

მომხმარებელი აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მიწოდებული სერვისი შესაძლოა სრულად ვერ პასუხობდეს მომხმარებლის მოთხოვნებს, რაც გამოიხატება როგორც ინფორმაციის სიმცირეში, ასევე, ვიზუალურ და ხმოვან მხარესა და გაფორმებაში.

### **მუხლი 5.**

მომხმარებლის მიერ „მომსახურების პირობების“ ღილაკის მონიშვნა, ასევე, გულისხმობს, რომ მომხმარებელი თითოეული ელექტრონული პროდუქტის შექმნისას გაეცნო ამ პროდუქტის აღწერილობას და გადაწყვეტილება ელექტრონული პროდუქტის შექმნის შესახებ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო.

### **მუხლი 6.**

სერვისის მიწოდების მიერ მომხმარებლის შესახებ მიღებული ინფორმაციის გამოყენება, ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა მომხმარებლისთვის სერვისის მიწოდებისა, ამ სერვისის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების შექმნის და მიწოდების სანაცვლოდ ინფორმაციის დამუშავებისა და მოხმარებელთა ინტერესების შესაბამისად გამოყენებისა, ჩათვლება როგორც „მომსახურების პირობების“ დარღვევა.

### **მუხლი 7.**

ნებისმიერი სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.